

ნათია არველაძე

აკაკი წერეთლის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ომის 4 და დასვენების 51 დღე ჰომეროსის პოემაში „ილიადა“ (ეპითეტები ომსა და მშვიდობაზე)

საკვანძო სიტყვები: ეპითეტი, ომი, მშვიდობა

ჰომეროსის პოემა „ილიადა“, მოგვითხრობს ზოგადად, ათწლიანი ტროას ომისა და კონკრეტულად, ამ ათწლიანი ომის ბოლო 55 დღის შესახებ, რომელთაგან, თუ ჰომეროლოგების ცნობილი ფორმულით (1+9+1+12+3+1+1+1+3+12+1+9+1) ვიმსჯელებთ, მხოლოდ 4 დღის განმავლობაში მიმდინარეობდა საომარი მოქმედებები, დანარჩენი 51 დღე კი იყოს ის, რასაც, პირობითად, შეიძლება მშვიდობა დავარქვათ (იხ. სქემა #1).

უნდა გავითვალისწინოთ ის ფაქტი, რომ „ილიადაში“ ათწლიანი ომის მხოლოდ უკანასკნელი დღეებია წარმოდგენილი, შესაძლოა ამით ავხსნათ ის, რომ ომი უფრო პასიურია და მშვიდობა (უფრო ზუსტად, არასაომარი დღეები) უფრო აქტიურად გვხვდება.¹ თუ ეპითეტების გამოყენების სიხშირის მიხედვით ვიმსჯელებთ, შეგვიძლია ვთქვათ, რომ ომის კონცეპტი ბევრად უფრო ვრცლად არის გახსნილი და ბევრად უფრო მნიშვნელო-

¹ გორდეზიანი და ტონია 2007; გორდეზიანი 2009.

ვანი ცნებაა ავტორისა თუ თავად მებრძოლების ცნობიერებაში, ვიდრე მშვიდობისა თუ დასვენების ცნებები.

ჰომეროსის ეპოსში ეპითეტი სტილისტური მარკერია, რომელიც ახდენს ყოველი ობიექტისა თუ მოვლენის, მხატვრული სახის ფორმირებას. ეპითეტის საშუალებით ეპიკოსი ავტორი აყალიბებს მხატვრულ სახეებს და ის ხშირად აღსაწერის საიდენტიფიკაციო საშუალება ხდება.²

საინტერესოა თუ როგორ აისახა ჰომეროსის პოემაში „ილიადა“ ომი და მშვიდობა ეპითეტების დონეზე. რამდენადაც „ილიადას“ სიუჟეტი საბრძოლო მოტივებით არის აგებული, პოემაში მრავლად გვხვდება ომის აღმწერი ეპითეტები, რომლებიც, რიგ შემთხვევებში, მიემართება უშუალოდ ომს, რიგ შემთხვევებში კი – პერსონაჟებს. ასევე, საინტერესოა თავად მებრძოლების მეტყველებაში წარმოდგენილი ეპითეტები ომისა თუ მშვიდობის შესახებ, რამეთუ სწორედ ისინი წარმოადგენენ სიუჟეტის განვითარების ძირითად ძალას.

„ილიადაში“ ეპითეტი არის ძირითადი ლექსიკურ-გრამატიკული მარკერი ომის მნიშვნელობის (და არა მხოლოდ) ფორმულირებისას.³ პოემაში ვხვდებით როგორც ჭეშმარიტების აღმწერ და ინტენსიფიკატორ ეპითეტებს (რომლებსაც ომის მიმართ მკითხველის ემოციური დამოკიდებულების გაძლიერების ფუნქცია აქვს), ასევე, მეტაფორულ ეპითეტებს, რომლებიც, მართალია, არ წარმოადგენს მუდმივ – გაქვავებულ ეპითეტებს, თუმცა, მათი მნიშვნელობა არსებითია ჰომეროსის ეპოსში ომის კონცეპტის ფორმირებაში.⁴

² Zvolensky 2010, 184; Dubinsky and Hamilton 1998, 692; Passakos and Raad 2009, 75.

³ Smith 2014, 14.

⁴ Potts 2006, 490-95.

ეპიტეტებისა და გარკვეული პასაჟების თარგმნა საკუთარ თავზე ავიღე. კვლევის პროცესში, ასევე, ვახდენ შედარებას 2016 წელს გამოცემულ ლევან ბერძენიშვილის მიერ შესრულებულ თარგმანსა (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა) და 2013 წელს გამოცემულ რომან მიმინოშვილის თარგმანთან (ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა).

„ილიადაში“ ვხვდებით ომის მიმართ გამოყენებულ ობიექტური შეფასების – ჭეშმარიტების ეპიტეტებს. ამგვარი ეპიტეტები გვიხატავს ომის რეალობას, როგორცაა: *ἀφραδῆς* (უშინარსო)⁵; *πενκεδαιός* (დამლუპველი)⁶; *ἄπρακτος* (უსარგებლო)⁷; *θρασύς* (გაბედული/თამამი. ლ. ბერძენიშვილის თარგმანის მიხედვით – სასტიკი)⁸; *φεισῆσαρ* (მომაკვდინებელი/დამლუპველი ლ. ბერძენიშვილის თარგმანის მიხედვით ხალხთა-მმუსვრელი)⁹; *ἀλίστος* (უნაყოფო ომი)¹⁰; *ἄλληκτος* (დაუსრულებელი ბრძოლა)¹¹ და სხვა. ყველა მათგანი ომს წარმოგვიდგენს ზუსტად ისეთად, როგორც ის არის რეალურად. ამავე დროს, ეს ეპიტეტები ინტენსიფიკატორის მნიშვნელობით გამოიყენება და ახდენს ომისადმი მკითხველის ემოციური განწყობის ინტენსიფიკაციას.

ომი თავისთავად ასოცირდება კაცთა სიკვდილთან, მაგრამ ეპიტეტი *πενκεδαιός* (ხალხთა-მმუსვრელი) მას კიდევ უფრო უწყალო და შეუბრალებელ რეალობად წარმოადგენს¹². ასევე,

⁵ Hom. II. III. 435

⁶ Hom. II. X. 8

⁷ Hom. II. II. 121

⁸ Hom. II. VI. 254

⁹ Hom. II. II. 833

¹⁰ Hom. II. II. 797

¹¹ Hom. II. II. 452

¹² Hom. II. II. 833

საომარი მოქმედებისადმი მკითხველის ემოციური დამოკიდებულების ინტენსიფიკაციას ემსახურება ეპითეტი *καύσειρα* (*ფიცხელი/მგზნებარე*)¹³. აღსანიშნავია, რომ ჩამოთვლილი ნეგატიური მნიშვნელობის მქონე ეპითეტები გამოყენებულია თავად ავტორის მიერ ომის დახასიათებისას. ამ ეპითეტებით ომს მოქმედი გმირები არ ახასიათებენ. რადგან ჰომეროსის ეპოსი ობიექტურ ეპოსს წარმოადგენს, ავტორის შეფასებებიც შეიძლება ობიექტურ რეალობად მივიჩნიოთ.¹⁴

პოემაში ვხვდებით არაერთ მეტაფორული მნიშვნელობის ეპითეტს. საილუსტრაციოდ შეგვიძლია მოვიყვანოთ მხატვრული აღმწერი *γλῆκιος* – *სანუკვარი*. პოემის მეორე თავში ჰომეროსი გვიყვება, რომ მას შემდეგ, რაც ნესტორის რჩევითა და ათენა ქალღმერთის მეგზურობით აგამემნონმა შეაგულიანა ჯარი ბრძოლისათვის, მეზრძოლები დიდი მონდომებით ჩაებნენ ბრძოლაში და ამ პასაჟში ომის აღსაწერად იყენებს ეპითეტს *γλῆκιος* (*სანუკვარი*): „ταῖσι δ’ ἄφαρ πτόλεμος γλυκίαν γένετ’ ἠὲ νέεσθαιέν νηυσὶ γλαφυρῆσι φίλην ἐς πατρίδα γαῖαν“ („ომი გაუხდათ უფრო სანუკვარი, ვიდრე გემებით შინ გამგზავრება“. ამავე პასაჟის ლ. ბერძენიშვილის მიერ შესრულებულ თარგმანში ვკითხულობთ: „და მათთვის იმავწამს ომი უფრო ტკბილი გახდა, ვიდრე ღრმამუცლიანი ხომალდებით სამშობლოს ძვირფასი მიწისკენ გამგზავრება“. რ. მიმინოშვილის თარგმანში კი პასაჟი ამგვარად არის გადმოცემული: „ომი გაუხდათ უამესი, ვიდრე გემებით ტკბილი სამშობლო მიწისაკენ შემობრუნება“¹⁵. ეპითეტი, რა თქმა უნდა, მეტაფორული მნიშვნელობისაა, მაგ-

¹³ Hom. Il. XII. 316

¹⁴ დამატებითი ინფორმაციისთვის იხ. Cruse 1986; Potts and Kawahara 2004.

¹⁵ Hom. Il. II. 453-56

რამ ხაზს უსვამს იმას, რომ აქაველთა არმიის წევრებისთვის ომი ზოგჯერ იმაზე სასურველიც კი არის, ვიდრე ტკბილი სამშობლოსკენ გემებით გამგზავრებაა.

ჰომეროსის ეპოსი საგმირო ეპოსია და მისი ყველა პერსონაჟი აკმაყოფილებს საგმირო კოდექსის ძირითად მოთხოვნებს, რაც ვნებათა დაოკებაში, ღმერთებთან გატოლებისათვის ბრძოლაში, უკვდავი სახელის მოპოვებასა და კიდევ რამდენიმე ძირითად მოთხოვნაში მდგომარეობს. ჰომეროსის გმირები მუდმივად იბრძვიან იმისთვის, რომ ღმერთებს გაუტოლდნენ. რამდენადაც მეზრძოლები არიან უბრალო მოკვდავები და მათ არ ძალუძთ მარადიული ცხოვრების მოპოვება ღმერთების მსგავსად, ისინი ცდილობენ უკვდავთა სამყაროში ადგილის სხვა გზით დამკვიდრებას.

გმირებს მიაჩნიათ, რომ მთავარი მეზრძოლისთვის არის უკვდავი სახელის მოპოვება. ყველაფერი დანარჩენი მათთვის მეორეხარისხოვანია. სახელისა და დიდების მოპოვებით გმირები ხდებიან უკვდავნი: მათი სხეული კვდება, მაგრამ სახელი სამუდამოდ რჩება და ინფორმაცია მათ შესახებ თაობიდან თაობაში გადადის.

ომი იმიტომ არის მეზრძოლებისთვის განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონე, რომ ის იძლევა შესაძლებლობას – გმირებმა უკვდავყონ საკუთარი სახელი საკუთარი ქმედებით საომარ ვითარებაში. როდესაც ეპიკოსი აღწერს ბრძოლის ველზე არსებულ სიტუაციას მას შემდეგ, რაც პანდაროსის მიერ დაჭრილი მენელაოსი გაჰყავთ ბრძოლის ველიდან და აგამემნონის მონაწილეობით აქაველები ბრძოლას აგრძელებენ, ჰომეროსი წარმოადგენს ომს ეპითეტით *κυδίανερα* (სახელისა და

დიდების მომხვეჭი)¹⁶. ეპითეტი წარმოადგენს ომს, როგორც გამირთავის ყველაზე სასურველ რეალობას. მას შეუძლია მებრძოლს სახელი და დიდება მოუტანოს, რაც ყოველი მეომრის უმთავრესი მოტივატორია.

მეორეს მხრივ, განსაკუთრებით საინტერესოა ის ეპითეტები, რომლითაც თავად პერსონაჟები აფასებენ ამა თუ იმ მოვლენას. არსებითია მეომრების მიერ წარმოდგენილი შეფასებები ომის შესახებ, რადგან ომის უშუალო მოქმედი გმირები სწორედ ისინი არიან. საგულისხმოა ის ფაქტი, რომ პერსონაჟები ომს მხოლოდ უარყოფითი შეფასებების ეპითეტებით არ სახავენ. პირიქით, მათთვის ომი დადებითი მნიშვნელობის მქონე კონცეპტია, რასაც ქვემოთ მოყვანილი ეპითეტები ცხადყოფს.

ეპითეტით *καθ' ἄνευρα* (სახელისა და დიდების მომტანი) მოიხსენიებს ომს ასევე გმირი დიომედე, როდესაც უხსენებს გლავკოსს მათ შეხვედრას მებრძოლების წინ¹⁷. დიომედეს დამოკიდებულება ომისადმი იმითაც არის გამორჩეული, რომ ის შეუპოვარი მებრძოლია. მან კარგად იცის ომის მნიშვნელობა. ამის მიუხედავად, მისთვის ომი არათუ შიშისა და სიმბდალის გამომხატველი, არამედ სამამაცოა. ომში მიმავალი მებრძოლი მამაცია და ომი ამ კონტექსტითაც გამოარჩევს გმირებს დანარჩენებისგან. დიომედესთვის ომი სიმამაცის გამოხატულება და ის არეალია, სადაც მოკვდავებს თავიანთი საბრძოლო უნარების გამოვლენის შესაძლებლობა აქვთ.

თავად უზენაესი ღმერთი – ზევსი მოიხსენიებს ომს აღნიშნული ეპითეტით – *καθ' ἄνευρον*, როდესაც მიმართავს ქალღმერთებს ჰერას და ათენას: „ὄ μὲν θῆν κάμειτόν γε μάχῃ ἐνι

¹⁶ Hom. II. VIII. 448

¹⁷ Hom. II. VI. 124

καθαίρειν ἄλλῃσιν Τῆρας, τοῖσιν κόντον αἶνον ἔθεισθαι“ (განა დიდების მომტან ომში ვერ ჩერთეთ საძულველი ტროელების დასაღუპვად?“ აღნიშნული პასაჟი ლ. ბერძენიშვილის თარგმანში მოცემულია ამგვარად: „რაო, *სახელის მოსახვეჭ* ომში ვერ ჩაერთეთ ტროელთა დასაღუპად, რომლებიც ასე გძულთ?“ რ. მიმინოშვილის თარგმანში კი ვკითხულობთ: „განა *მოყმეთა საამაყო ბრძოლას* ვერ შერჩით, ტროელთა – თქვენთა საძულველთა იავარმყოფელს?“¹⁸ . ეპითეტი მეტაფორულად გამოხატავს ომის მნიშვნელობას და წარმოაჩენს მას, როგორც *დიდების მოტანს*. ყველაფერი, რაც *დიდების მომტანია*, გამირთავის სასურველია.

ომის კონცეპტზე უშუალოდ ომის მიმართ გამოყენებული ეპითეტების გარდა, წარმოდგენას გვიქმნის ის ეპითეტებიც, რომლებიც გამოყენებულია პერსონაჟების აღსაწერად და მათ ომისადმი დამოკიდებულებას გამოხატავს. მაგალითად, ლიკაონი ახასიათებს ლელეგებს ეპითეტით *φιλοπολέμοισιν* (*ომისმოყვარე*)¹⁹. ეპითეტი, ერთის მხრივ, აყალიბებს აღსაწერთა მხატვრულ სახეს, რადგან საზოგადოდ, გამირის საიდენტიფიკაციო ნიშან-თვისებას შორის უმთავრესი სწორედ მისი დამოკიდებულებაა ომის მიმართ და მეორეს მხრივ, ომის კონცეპტს გვიხსნის, როგორც სასურველ, საყვარელ რეალობას, რომელიც ფაქტია, რომ პერსონაჟებს უყვართ. ამავე ეპითეტებს სხვა პასაჟებშიც ვხვდებით: ეპითეტი *φιλοπολέμοισιν* (*ომნაცადი/ომში განთქმული*) გამოყენებულია სოლიმების აღსაწერად (მოცემული ეპითეტი ლ. ბერძენიშვილის მიერ შესრულებულ

¹⁸ Hom. II. VIII. 448-50

¹⁹ Hom. II. XXI. 86

თარგმანში გადმოცემულია ლექსიკური ერთეულით – *ომის-მოყვარე*)²⁰ და სხვა.

რამდენადაც ომში ყოფნის შემდეგ პერსონაჟი უფრო განდიდებულია, ვიდრე მანამდე, თუნდაც ისეთი შეფასების ეპითეტი, რომელიც გმირის ომში ყოფნას გამოხატავს, უკვე მნიშვნელოვანი შეფასებაა აღსაწერის დახასიათებაში. ამგვარ ეპითეტებს ვხვდებით „ილიადაში“: *μαχέσθαι* *καθ'αίμιον* (*ომნაცადი ხალხი*) – სოლიმები /გლავკოსი 21 ἄριστος (*მედგარი/ომში მედგარი* თოანტი)²²; აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ტროას ომში არიან მებრძოლები, რომელთათვისაც ომი მომგებიანი რეალობაა. ისინი ომობენ ომისთვის და სულაც არ სურთ მისი დასრულება, მაგრამ ცხადია, ყველა მებრძოლი ასეთი არ არის. არიან პერსონაჟები, რომლებიც იბრძვიან ღირსების აღსადგენად და სახლში მშვიდობით დასაბრუნებლად.

საინტერესოა პიროვნების ღირსების შემლახველი ეპითეტი, რომელიც ასევე ომს უკავშირდება: *ἀνάλκιδες* (*ომისათვის არ გაჩენილები*) – ასე ახასიათებს ათენა ტროელებს მაშინ, როდესაც ამხნეებს აქაველებს (მოცემული პასაჟი ლ. ბერძენიშვილის მიერ ნათარგმნია, როგორც „(ისინი, ადრე რომ გაქცეულ ირმებს ჰგავდნენ,) ბრძოლის ჟინი არ გააჩნიათ)“²³. მართალია, ათენა ქალღმერთის ამ ნარატივს გარკვეული ქალური მოტივი აქვს და სუბიექტური შეფასებისაა, მაგრამ ჩვენთვის საინტერესოა ის, რომ ქალღმერთისთვის ყველაზე კარგი საშუალება მოკვდავთა დასამცირებლად მათი ამგვარი

²⁰ Hom. II. XXIII. 5

²¹ Hom. II. VI. 184

²² Hom. II. XV. 282

²³ Hom. II. XIII. 104

შეფასებაა. ვერ მიაყენებს იგი გმირებს უფრო დიდ შეურაცხყოფას, ვიდრე მათ საბრძოლო უნარებში ეჭვის შეტანაა.

ჰომეროსის პოემაში „ილიადა“ ომის აღმწერი ეპითეტების მრავალფეროვანი არეალი არის წარმოდგენილი. მშვიდობის მიმართ კი, როგორც აღვნიშნეთ, ავტორი იყენებს მხოლოდ ერთ ეპითეტს. ასე მიმართავს ნესტორი პატროკლეს მაშინ, როდესაც ცდილობს მის დარწმუნებას, რომ ომში აქილევსის ნაცვლად ჩაებას: „შენ ჩაგროს ომში და გაახლოს მირმიდონელნი, ვინძლო დანაელთ მოევლინო ძლევის შუქურად. ნება ყოს, მისი საჭურველი რომ შენ აისხა, იგი ეგონოთ ეგებ ტროელთ, გაექცნენ ბრძოლას, დანაელნი კი ბრძოლის ველზე სულს მოითქვამენ, უკვე მაშვრალნი. *ხანმოკლეა* ომში მშვიდობა. დასვენებული თქვენი რაზმი სპას ბრძოლით დაღლილს ხომალდებიდან უკუაქცევს გალაგნისაკენ”²⁴.

ნესტორი პოემის ყველაზე „მშვიდობიანი“ პერსონაჟია. პოემაში მრავალჯერაა ხაზგასმული ნესტორის გონიერება, რაც ეპიკური პერსონაჟის მნიშვნელოვანი და საიდენტიფიკაციო მახასიათებელია. ნესტორი – მოხუცი გმირი, რომელიც პოემის ყველაზე გონიერი პერსონაჟია, არ შეიძლება იყოს ომის მოტრფიალე და ბრძოლის მსურველი. მან კარგად იცის ომის მნიშვნელობა და მისი შედეგები; კარგად აცნობიერებს ომის შემდგომი პერიოდის განსაცდელს. ამდენად მის მიერ გამოყენებული ეპითეტი – *ἀλγος* (*ხანმოკლე*) ობიექტური შეფასების – ჭეშმარიტების აღმწერ ეპითეტად უნდა მივიჩნიოთ.

ომის მიმართ გამოყენებული მრავალფეროვანი ეპითეტების პარალელურად, ჰომეროსის პოემაში „ილიადა“ მშვიდობის მიმართ გამოყენებული სხვა არც ერთი ეპითეტი არ გვხვდება.

²⁴ Hom. II. XI. 796-802

მხოლოდ ერთი და ისიც, ჭემმარიტების აღმწერი ეპითეტი *ὄλιγος* (*ხანმოკლე*).

შესწავლილი მასალის ანალიზის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ ჰომეროსის პოემაში „ილიადა“ ეპითეტი წარმოადგენს ძირითად ლექსიკურ-გრამატიკულ მარკერს ომის მნიშვნელობის ფორმულირებისას. ტროას მიდამოებს საბრძოლო არეალად მკითხველის აღქმაში სწორედ ეპითეტი აქცევს.

ჰომეროსის პოემაში „ილიადა“ ომისა და მშვიდობის მიმართ გამოყენებული ეპითეტების რაოდენობა დაახლოებით სამოქმედო და უმოქმედო დღეების რაოდენობის უკუპროპორციულია. სამოქმედო და უმოქმედო დღეების გადანაწილების ცხრილის მიხედვით, პოემაში მხოლოდ 4 დღე მიმდინარეობს ომი, დანარჩენი 51 დღის განმავლობაში კი საომარი მოქმედებები სხვადასხვა მიზეზის გამო შეწყვეტილია. ეპითეტი არის სწორედ ის ქვეტექსტური ერთეული, რომელიც ახერხებს მკითხველი მუდმივად გრძნობდეს თავს ბრძოლის ველზე. რომ არა ეპითეტი, პოემაში უფრო აქტუალური მშვიდობის თემა იქნებოდა, თუმცა ეპითეტების მეშვეობით ავტორი ახდენს ბრძოლისადმი მკითხველის ემოციური დამოკიდებულების ინტენსიფიკაციას.


ჰომეროსის ეპითეტები გვიხსნის ომის კონცეპტს ორმხრივად: 1. როგორც სიკვდილისა და მწუხარების მომტან რეალობას, რომელიც იწვევს სისხლისღვრასა და სიკვდილს; 2. როგორც სასურველ რეალობას, დიდებისა და სახელის მომტან მოქმედებას, რისი წყალობითაც პერსონაჟებს გმირის სტატუსისა და უკვდავი სახელის მოპოვება შეუძლიათ.

ჰომეროსის პერსონაჟების მიერ და გმირების მიმართ გამოყენებული ეპითეტები ცხადყოფს, რომ ავტორის, თუ გმირებისთვის ომი უფრო საწადელი მდგომარეობაა, ვიდრე საძულველი,

რადგან მათ სწორედ ომი აძლევთ საშუალებას, იბრძოლონ საკუთარი ინტერესებისთვის.

საინტერესო ფაქტია, რომ ასეთ მასშტაბურ ომში (ათწლიანი ომის ბოლო დღეებში), სადაც მოქმედმა გმირმა კარგად უნდა იცოდეს მშვიდობის ფასი, ეპითეტების მიხედვით ვხედავთ, რომ, რეალურად, პერსონაჟები ომს უფრო დადებითი მნიშვნელობის ეპითეტებით ახასიათებენ, ვიდრე მშვიდობას. მეტიც, მშვიდობა მათთვის იმდენად ნაკლებად მნიშვნელოვანია, რომ მის აღსაწერად მხოლოდ ერთხელ, ისიც, პომეის ყველაზე ბრძენი პერსონაჟი იყენებს ერთადერთ ეპითეტს.

სქემა #1



ბიბლიოგრაფია:

Cruse, Alan. 1986. *Lexical Semantics*. Cambridge: Cambridge University Press.

გორდეზიანი, რისმაგ და ნანა ტონია, რედ. 2007. *ანტიკური ლიტერატურა*. თბილისი: ლოგოსი.

გორდეზიანი, რისმაგ. 2009. *ბერძნული ციკლოზაცია*. თბილისი: ლოგოსი.

Dubinsky, Stanley and Robert Hamilton. 1998. “Epithets as Antilogophoric Pronouns”. In: *Linguistic Inquiry*, Vol 29.4. P: 685-693. Columbia: MIT Press.

Homer. 1928. *The Iliad*. With an English Translation by Myrray A. T. London: William Heyneman LTD.

ჰომეროსი. 2013. *ილიადა*. თარგმნა რ. მიმინოშვილმა. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.

ჰომეროსი. 2016. *ილიადა*. თარგმნა ლ. ბერძენიშვილმა. თბილისი: ბაკურ სულაკაურის გამომცემლობა.

Passakos Constantinos and Boele Raad. 2009. “Ancient Personality: Trait Attributions to Characters in Homer’s Iliad”. In: *Ancient Narrative*. Vol. 7. 75-95.

Potts Christopher. 2006. *The Logic of Conventional Implicatures*. Oxford: Oxford University Press.

Potts, Christopher and Shigero Kawahara. 2004. “Japanese Honorifics as Emotive Definite Descriptions”. In: *Proceedings of Semantics and Linguistic Theory*. Vol. 14. 235-254. New York: CLC Publication.

Smith, Andrew. 2014. „Homeric Constructions: The Reception of Homeric Authority“. PhD diss., Columbia: University of Missouri.

Zvolensky, Zsofia. 2010. “A Gricean Rearrangement of Epithets“. In: *20 years of Theoretical Linguistics in Budapest*, edited by Ferenc Kiefer and Zoltan Banreti. 183-218. Eotvos Lorand University: Tinta Publishing House.

Natia Arveladze
Akaki Tsereteli Kutaisi State University, Georgia

4 Days of War and 51 Days of Rest in the „Iliad“ by Homer (Epithets on War and Peace)

Key words: *epithet; war; peace*

The epic work “Iliad” by Homer tells us about the Trojan war and specifically about the last 55 days of this ten years of war, from which according to the famous formula created by Homerologists (1+9+1+12+3+1+1+1+3+12+1+9+1), there are just 4 days when the war is going on and there are another 51 days which we can call the days of peace.

The aim of our work is to demonstrate how the war and peace were reflected in Homer's poem "Iliad" at the level of epithets. The analysis shows that most of the epithets are about the war, struggle, warfare, heroes: *κυδιανείρη* (the heroic) – war; *ἄριστος* (unbreakable in the war); *φιλοπτολέμοισιν* (the man wishing the war); *ἀνάκιδες* (born not for fighting) (Trojans) / *Athena*/ ... and in the poem there is only one epithet that is used for describing peace – *ὀλίγος* (brief).

In the poem by Homer epithet is the main lexical-grammatical marker in the formulation of the importance of war. Among them we find objective assessment epithets: *φθισήνωρ* (killer) – war; *ἄπρακτος* (hated) – war; *πευκεδανός* (destroying) – war; the metaphorical epithets: *κυδιάνειραν* (praiseworthy/fame bringing); *γλυκίων* (delightful/sweet) and more. The epithets mainly describe the war as a desirable reality that can bring the immortal name to the heroes, which is the first desire for them. The attitude of the characters to the war is reflected in the epithets used for describing the fighters themselves: *φιλοπτολέμοισιν* (war lover), *μαχέσσατο κυδαλίμοισι* (experienced in the war) and others.

It can be said that in the work "Iliad" by Homer the amount of epithets used for describing war and peace is a mat inversely proportionate to the number of active and inactive days (51/4).